გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ. — კ.
11	,, . .	9 ,, 50 ,,
10	,, . .	8 ,, 75 ,,
9	,, . .	8 ,, — ,,
8	,, . .	7 ,, 25 ,,
7	,, . .	6 ,, 50 ,,
6	,, . .	6 ,, — ,,
5	,, . .	5 ,, 50 ,,
4	,, . .	4 ,, 75 ,,
3	,, . .	3 ,, 50 ,,
2	,, . .	2 ,, 75 ,,
1	,, . .	1 ,, 50 ,,

იმერია

№ 135 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 135

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის წესი

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თებათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს — მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თებათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

რედაქციისაგან

პირველ თებათვიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „იმერია“ ჰღირს 6 მან. 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 3 მან. და ქალაქ გარეთ 4 მან.

ვისაც გაზეთის ფული სრულად არა აქვთ შემოტანილი, რედაქცია სთხოვს წარმოადგინოს დანარჩენიც რომ გაზეთის გზავნა არ მოესპოს.

ვიდებ საეკლესიო **პანაშვიდ-ზის სამსახურო საკმეველს**. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგის ადრესით: სოფელი ბრიუტი, ტფილისის მაზრა, მღვდელს მელქიტონ ეანჩაველს.

(15—10)

ისყიდება

პრიუტთან ახლოს მამული: სახნავი, საძოვარი, სათიბი და ტყე საუკეთესო წყაროებით. წლიური შემოსავალი აქვს 400 მან., აგრეთვე მსურს გავიყიდო სოფელს ტყვიავში (გორის მაზრა) ექვსი დესეტინა: ახლად გაშენებული ბაღი, სახლ-კარი და სახნავი მამულები. მსურველს შეუძლიან ცნობების შეტყობა ქ. ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ სათავად-აზნაურო სახლი **გრიგოლ კორინთელთან**.

(5—5).

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველ-შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

ბაჭანა

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი სთხოვს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ მობრძანდნენ

საგანგებო საგუბერნიო კრებაზედ,

რომელიც დანიშნულია 12 ივნისისათვის 1904 წლ. დღისით 1 საათზედ თ-დ ქობულოვის სახლებში (არშაკუნიანისეული, გრიბოეიოროვის ქუჩაზედ) ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მოგების გასანაწილებლად შედგენილ პროეკტის განსახილველად და დასამტკიცებლად. (3—6—3).

ახალი გამოცემა „წერა-კითხვის სიზოგადოებისა“

გულიფერის მოგზაურობა

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

შორეულ ადმოსავლეთის დაფარდებული

ბართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

გამოვიდა და ისყიდება

კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ ბიბლიბისა.

ფასი 15 კაპ.

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგარდოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილის (3—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ უმაღლეს მთავრობის ნება-რთვით ამიერიდგან მიიღება ხელის მოწერა შემოწირულებათა შესაკრებად აწ განსვენებულის დიდი მთავრონასი ოლღა თეოდორეს ასულის ძეგლის ასაგებად ტფილისში.

(3—6.—3)

ქართველნი მკურნალნი:

ბედევანიშვილი მიხეილ,—ეორდანოგის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

ბაბალიშვილი კონსტანტინე ელისბედის ქუჩა. სახლი მალფოსი. № 5

ბაბაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაფაძე სპირიდონ. ბეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოზოზის ასული ზაალიშვილისა, მიხეიდის პროსპექტი, № 145.

დიასამიძე ალექსანდრე,—მიხეიდის პროსპექტი, სახლი დოდუხანოვის, № 123.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. მ. ჩიტოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ბ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხიროურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბაძალიშვილი. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ბ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ბ. სოლოლაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომაშვილი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია)

ბ. ს. ი ლვი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზაბარბინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ს. ტ. არავანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში (და მსურველი მასსავს), ოუტრის ყავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კოსნილოუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბაძალიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. ბედევანიშვილისა

კუკია, ვალიკოკნიაკესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი ი თ:

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ა. ტ. ბულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. ი. ბალარჯიშვილი. ბავშვებისა, 9—10 ს.

ლ. მ. ბოლინი. ქალის., საბებ. და ბავშ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. ბოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სოლოლაშვილი — დოსტეკრობა და ორტოპედია: ოთხშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ბ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჭმდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიოლ-სკოპიული გაკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კოიოტები 3 მან. ნ მანგთამდე. სამკურნალოს გაფართოვებულია ოცი კოიოტით.

46—8 ტელეფონი № 274

(წ.)

ომის ამბები

დეკემბერი და წერილები.

უცხოელების მწერლობა. რუსეთ-იაპონიის ომის გამო.—წვრილი ცნობები.

მწერლობამ დიდი ყურადღება მიაქცია ბოლოს დროს იაპონიასა და იაპონელებს. ისე არ გამოვა ფრანგული, ინგლისური და გერმანული გეზეთი, რომ იაპონელებზე არა იყოს-რა.

პოლკოვნიკი ემერსონი, რომელსაც იაპონიაში დიდ ხანს უცხოვრია, სწერს ჟურნალ «რეგ.-დე რეგ»-ში: იაპონელს პატრიოტიზმი ძვალსა და რბილში გასჯდომია და ფანატიზმად გარდაქცეულა. ერთი იაპონელების საყვარელი პოეტი ასე ჰხატავს თავის თანამემამულეთა გრძნობას: «ჩემი სამშობლოა მუდამ და ყველგან ჩემი პირველი სიყვარული. ჩემი სისხლი, ჩემი პირველი ოცნება, ჯიფის ოფლი მარად შენ გეკუთვნის». ომის დაწყებამდე, — ამბობს ავტორი, — ლაპარაკი მქონდა ბარონ ივასაკისთან, იაპონელ მილიარდერთან, რომელიც იაპონის ბანკის სათავეში სდგას, თავისი გემები, მადნები და მრავალი სავაჭრო საქმეები აქვს. ის ძალიან იყო მოწყალინებული, რომ ომისი მიღიონები ომისათვის მიეღოთ. იაპონიამ რომ სესხი გამოაცხადა, ამ ბარონმა ინდომა მთლად თითონ გაენაღდებინა სესხი, მაგრამ უარი უთხრეს, რამაც მეტის-მეტად გაამწარა.

ერთს იაპონურ გაზეთში შემდეგი ამბავი დაბეჭდილი: საპყრობილეში ჰყავდათ ავაზაკი, რომელსაც სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა. როდესაც განაჩენი უნდა აესრულებინათ, წინა დღეს 5 იენი შეუგზავნეს, რომელიც იმას ეკუთვნოდა, მოიხმარე, როგორც გინდა. პატიმარმა გულმხურვალედ ითხოვა, ის 5 იენი ომის საქმეს მოახმარეთო, და ძალიან გაეხარდა, რომ თხოვნა შეწყნარეს; სიხარულით ცრემლები გადმოაფრქვია. (ბ. ვ.).

—

ინგლისელი მწერალი, «ნეიტრალის» სახელით, სწერს:

ინგლისი მუდამ მოწადინებული იყო, როგორმე ხელი შეეშალა რუსეთისთვის შორეულ-აღმოსავლეთში, და ამ სურვილმა ინგლისი და იაპონია დაამეგობრა.

საფიქრებელია, ჩვენმა მთავრობამ კეთილის განზრახვით მოინდომა იაპონიასთან დაკავშირება, რომ ამით მშვიდობიანობა დამყარებულიყო სამყოფამოდ, ხოლო «ჯიჯოხეთიც კეთილის განზრახვით არის მოკეთდილიო». სწორედ ამ კავშირმა მოასწრაფა ომი, რომელიც, შესაძლოა, სხვა გარემოებაში არც-კი ატეხილიყო. იაპონია ვერ გაბედავდა რუსეთთან საკვეო ომის დაწყებას და ევროპიელ სახელმწიფოებს მოერიდებოდა, რომ არ ჩარეულიყვნენ და ომით დაპყრობილი მხარე არ ჩამოერთმიათ, როგორც 1894 წელს ჩამოაცალეს...

შემდეგ «ნეიტრალი» ურჩევს თავის თანამემამულეებს: ინგლისის ერი, რომელმაც ამას წინად ომის ვაი-ვაგლახი გამოსცადა, თანაგრძნობით უნდა ეპყრობოდეს მეორე თავისავით დიდს სახელმწიფოს. ამ გრძნობის დახშობა იმის ნიშანი იქმნებოდა, რომ არ გვესმის, რა შედეგი უნდა მოჰყვეს რუსეთ-იაპონიის ომს. ვის უნდა ექვემდებარებოდეს აზია, თეთრსა და ყვითელს ერს? განა ინგლისელს შეუძლიან გულგრილად უყუროს, როგორ არსდება მონგოლთა იმპერია 500,000,000 ევროპიელად ნასწავლ და შეიარაღებულ მეტოვრებთაგან ბრიტანის ინდოეთის მეზობლად? (ბ. ვ.).

—

თითქმის ყოველი იტალიური ჟურნალ-გაზეთი იაპონის თანაგრძნობას უცხადებს და რუსეთს-კი მტრულად უყურებს.

«მრავალი სულელური წერილები წამიკითხნია ამ ბოლოს დროს რუსეთის შესახებ, ხოლო იმისთანა განგებ დამახინჯებული აზრი არ შემეყრია, როგორიც გამოაქვეყნა თავის წერილში რომის უნივერსიტეტის პროფესორმა სერჯიმ.

პროფესორი ჯერ ცრემლით დაიფუფქა პოლონელთა მდგომარეობის გამო, რომელებიც «სლავიანთა ჯგუფში უგანთლებულესს თემს შეადგენენ, შემდეგ «წყნარს» ფინლიანდიელებს შეეხო და ბოლოს უკრაინაზე გადაიდა, რომელიც ვერა ჰბედავს თავისს სამშობლო ენაზე ილაპარაკოს და სწეროს. ყველზე კარგი ის არის, რომ უკრაინელი ერმა, რომელშიაც 30 მილიონი სული ითვლება, თეთმპყრობელ რუსეთისაგან, ნიშნად დაჩაგვრისა, დამამცირებელი წოდება მიიღო: პაწია რუსეთი—მალოროსსია.

პროფესორმა რუსეთი რაღაც ვეშაპად აქცია, რომელსაც არავისი რიდი და პატივისცემა არა აქვს, იმიტომ თუ, რომ თავი თავს მორეკილად და უძლეველად სთვლის, და ბოლოს ამტკიცებს, რუსეთის გამარჯვება იაპონიაზედ დიდს ენებას მოუტანს მთელს კაცობრიობას.

წარმოსადგენადაც კი საზარელია,—ამბობს პროფესორი:—გამარჯვებული რუსეთი მავნებელი იქმნება როგორც აზიისა, ისე ევროპისათვის, ძალისა და უფლების ბოროტად მოხმარება, მსოფლიო ბატონობის პოლიტიკა, ბრაზ-მორეული დესპოტიზმი—ეი რას უნდა მოველოდეთ რუსეთისაგან არამც თუ თავის სამფლობელოში, არამედ ყველგან, სადაც-კი სიტყვა გაუვა.

რუსეთმა რომ გაიმარჯვოს, უფრო გაძლიერდება, წათამამდება და მთელს ევროპას ყურემპრილ მონად დგხვის, სადაც დესპოტიზმსა და ტერორარს დაამყარებს. მაშინ ყველა სახელმწიფოები ძალაუნებურად მის წინ ქედს მოიხრიან.

გერმანიისთვისაც კი საშიში იქმნება გამარჯვებული რუსეთი, რადგან შეზარხოშებულს გმირს ვეღარა შეაკავებს-რა.

ძნელი წარმოსადგენია, რომ განათლებულს ავტორს თავისი ბოდვა არ ესმოდეს,—ამბობს «მოსკ. ვედომ.»,—ხოლო ის, რაც პროფესორს უსაქმურობის დროს თავის გასართობად დაუწერია, სჯერა და სიმართლედ მიიჩნია. სწავლა დაუთავრებელ მწერალსა და საერთოდ ყველას, ვისაც რუსეთი სძულს და გაიძახის, «ლავიანთა ამხედრება» ბევრათ უფრო საშიშია, ვიდრე «ყვითელთა» გამოლვიძება, საკვირაოკ არის, რომ რუსეთის ძლიერებას ფრთა შესკრასო».

«ტიმსი» იუწყება, 4 ივნისს ჩინელების გემ-ნავებით ქვანდუნის ნახევარ კუნძულიდგან 1,000 ევროპიელი მოსულა ჩიფუს. ამას წინადაც იქიდგანვე 1,200 ევროპიელი მისულა, მათ შორის 400 რუსის ქალი. იმათ უამბნიათ, იაპონელები პორტ-არტურს დაუახლოვდნენ და 8 ვერსის სიშორეზე გამაგრდნენო. (რ. ვ.).

—

იაპონელებს პორტ-არტურთან ჰაეროსტატებიც მოუტანიათ, რომ იერიშის დროს აუშვან და მტრის ბანაკი ათვალიერონ. (იქვე).

—

ტოკიოში დიდის ამბით უდღესასწაულნიათ იაპონელების გამარჯვება ვაფანგოუსთან. დღესასწაულობაში მ[illegible]ნილეობა მიუღიათ ინგლისელებსა და [illegible]ელებსაც. ერთს ხიზეზედ ხალი[illegible]

[illegible]ულა, რომ 19 კაცი გაუქულეტიათ (ბ. ვ.).

—

გენერალ კუროპატკინს ორი დივიზია გაუგზავნია, რომ შტაკელბერგს დაეხმაროს. თითონ გენერალიც, როგორც ნიუჯუანიდგან იუწყებიან, ლიაოიანიდგან გასულა ჯარით, რომ მტერს დაუხვდეს. გენერალ კუროკის მოწონავე ჯარს მუდამ შეტაკება აქვს რუსებთან, დაბინაოს ახლო. (რ. ვ.)

—

ოდესის ნავსადგურში ახალი წესი გამოცხადდა: ნავსადგურზე ყოფნა მხოლოდ იმათ შეუძლიანთ, ვინც თანამდებობას ასრულებს; კერძო კაცებს ნებართვა უნდა ჰქონდეთ. თეგზაობა ნავსადგურში აკრძალულია. გემები და ნავები მიმოსვლის დროს მოვალენი არიან დარაჯებს გამოეხმაურონ. (ნოვ. ვრ.).

ტ ფ ი ლ ი ს ი

*** დღემდე ყოველ ზაფხულობით ტფილისის საბაღლინო სკოლის მოსწავლენი მიდიოდნენ ზოგიერ სოფელ კასპში თავად ერისთავის მამულში პრაქტიკულ მუშობის შესასწავლად. რადგან ეს მამული ძალიან სასარგებლო იყო სკოლის მოწაფეთათვის, ამიტომ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ ამას წინად განიზრახა იყარონ აედგა ეს მამული თორმეტის წლით. მოლაპარაკება კიდევ ჰქონდა თავ. ერისთავთან, მაგრამ, რაღაც მიზეზისა გამო, ვერ მორიგდნენ. ამ ეამად კი ეს მამული გაიყიდა და გადავიდა კერძო ვექილის მიხაილოვის ხელში. წელს მოსწავლენი ამის გამო ვეღარ წავლენ ამ მამულში სამუშაოდ. მამულში დარგულია მოსწავლეთა მიერ დიდ-ძალი ხეხილები...

*** ქალაქის გამგეობას ბაზრად აქვს დაარსოს ქალაქის თვით-მმართველობის სტამბა. სტამბის დაარსების პროეკტის შედგენა მიენდო ქალაქის საბჭოს მდივანს ს. ვრელაშვილს.

*** მკითხველებს უნდა ახსოვდეთ, რომ ტფილისის ქუჩების მოსაკირწყლავად ქალაქის გამგეობამ მოიწონა ბ. იასე მაქსიმეს ძის მეხუზლას მიერ (იასე რაკელი) წარდგენილი ქვის ნიმუში. ბ. იასე ბევრი კონკურენტი გაუწყნდა; სხვათა შორის, ერთი ქართველიც იყო, რომელმაც არაკვითარიმე საშუალება არ დაზოგა, რომ დაეფოლეთინა იასე რაკელისგან წარდგენილი ქვა, მაგრამ ხერიკები არ გაუვიდა და საქმე ისევ ბ. იასეს მიანდეს, როგორც წარმომადგენელს კონტორის „გიორგიასა“, რომელიც მისივე მეცადინეობა-თანხლობით დაარსდა ქ. ბათომსა და მარსელეში. ამ დღეებში ბ. იასემ ამჩანაგობა „გიორგიას“ საშუალებით ჩამოიტანა ტფილისის ქალაქის გამგეობას ოსმალეთიდან 50 ათასი ნაკერი ქვა, რომელიც ამ დღეებში ჩაბარდა ქალაქსა. ქვა უკვე მოწონებულ იქმნა.

*** ვერასგზით ვერ მოეწყო ტფილისში ქალაქის ხარცის დუქნების საქმე. აგერ ერთი თვეა ქალაქის გამგეობაში აღიძრა საკითხი მოისმის შესახებ, რომ გაუქმებულ იქმნეს ხარცის ხარისხებად დაყოფა, მაგრამ საქმეს ბოლო მაინც არ უჩანს. ჯერ-ჯერობით გამოიარკვა, რომ ქალაქის გამგეობას სასურველად მიაჩნია ხარცის დაყოფა მოისმის რამდენსმე ხარისხებად, იყოს მხოლოდ ორის ხარისხის ხარცი. ამ საგნის დაწვრილებით განსახილველად ქალაქის ხარცის დუქნების მეთვალყურე კომისიას კიდევ ექმნება კრება.

*** რეფერენდამ ახალი ქართული წიგნი მიიღო: «ქართული გრამატიკა», შეკვეწილი სილოვან ხუნდაძის მიერ, გამოცემა ვ. ი. ბეკანიშვილის წიგნის მაღაზისა. წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი და ღირს 50 კაპ.

*** ქალაქის საბჭოს მიერ საგანგებოდ არჩეულმა კომისიამ დაათვალიერა ის ადგილები, სადაც ტრამვაის საზოგადოებამ ლიანდაგი დააგო დი სენო, რომ ცუდად არის მოკირწყლული. ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ბელგიის უსახელო საზოგადოებას, ლონისძიებანი მიიღე ქუჩების წესიერად მოსაკირწყლადო.

*** ამ დღეებში კრება ჰქონდა ი კომისიას, რომელმაც უნდა გამოიესიდოს ერძო კაცებისგან სომეთია ბაზარის ადგილები ქუჩის გასაფართო

რუსეთი

—

გუშინ ავნუსხეთ მოკლედ, რა ღონისძიებანი იქმნა მიღებული უმაღლესის თავჯრობისაგან და განხორციელებული ფინლიანდიაში ახლად გარდაცვალებულ გენ. გუბერნატორ ნ. ი. ბობრიკოვის მიერ. ახლა მოვიყვანთ «პრავიტ. ვესტ.»-ის აზრს მის მოღვაწეობის შესახებ.

„გუშინ ადგილად შეიძლება თქვას,—ამბობს გაზეთი,—რომ ახალი ხანა ფინლიანდიის მართველ-გუბერნიის ისტორიაში დაუკავშირდა განსვენებულ ბობრიკოვის სახელს. აი რა უმთავრესი ცვლილებანი იქმნა შემოღებული ამის ეგზარქულ-გუბერნატორობის დროს: გაკანონებულ იქმნა ფინლიანდიის სასტა, შემოშავდა ახალი წესი უმაღლესად ანკარიშის შედგენისა, ახალი წესი სასმელზე აბგარის ბეჭდვისა, ბეჭდვა რუსულის, როგორც სენატის საქმეთა-წარმოებაში, ისე ფინლიანდიის სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში, სწავლების ახალის პროგრამისა კანონიერსა და რეფორმ სასწავლებელნი, გაუქმება ფინლიანდიის კანონთა კორპუსისა და ეკონომიის, რომელიც კორპუსთან იყო დაარსებული თავის ნებით სამსმელზე სამსახურში შემსწავლელთა მოსამზადებლად, შემოღება რუსულის ენისა ფინურ სასწავლო სკოლებში, შეტყობა და დამტკიცება ეკონომიკურ-ეკონომიის და ეკონომიის ბუკლეტის შესახებ კანონიისა, დაარსება «ფინლიანდიის კეთილის», რომელიც ამ ქველქმედ პროგრამის ეკონომიკურ ორგანოა და მთავრობის ახრებს ექვემდებარება. კეთილი დამტკიცება ამ კანონთა ფინურად ამბეჭდება. მთავრობამ ახრუნა უმაღლესოთა მდგომარეობის გუბერნიებისათვისაც, ახალი დადგენილება ამის შესახებ, რომ რუსეთის ქალაქებში ნება აქვთ მამული შეიძინონ ფინლიანდიაში; გუბერნატორობის, რომელსაც ითხოვენ მოსაზრებელ რუსნი ეზაკონი ფინლიანდიაში, დაარსება ჭელსინგფორსში სახელმწიფო ბანკის კანონფადგენისა. ბროკეტი ფინლიანდიის და სახალოდ რუსეთის რანის კეთილის ეკონომიებისა. აი არასრული ნუსხა ამ დანანაძებისა, რომელიც შიდებულ იქმნა მხნე გენერალ-გუბერ. ობრიკოვის თანხმობით. რუსეთის ერთგულ მეგადრი კანსვენებული გუბერნიაზეთ ეკადგილა, ხოლო ეროსნა და რუსეთის წინააღმდეგ დასს, ესრეკ-ეროდ ებულს შეეფიშნებს, სასტიკად ეერძოდა და ანას ეთმობდა.

ზანა ეს არის მეცნიერი?

«...ამბილე ბრძენსა და შეგიყვანოს;
«ნე ამბილებ ფუფუსსა, რათა არა
მოგერძელოს...»

სოლომან ბრძ.

მეცნიერება სარკეა ქეშმარიტების მაჩვენებელი. მეცნიერება ყველას ერთის და იმავე ქეშმარიტს, მიუდგომელის თვალით უყურებს: ზავს-ზავად აღმოხატავს, თეთრსთეთრად. მაგრამ ახლა მოდის კულტურამ, ჭ კანდიდების წადილმა ზოგიერთთა მეცნიერებს თვალნი დაუბნინა და თვით არ იცმარეს სასეანიერო სარკეში თეთრის ზავად დანახვა: დიდის გულმოდგინებით შეუდგნენ ყველას თეთრი ზავად დაანახვონ.

ამისთანა მარდ-ბეგი, მითომ და მეცნიერნი, აბა ჩირქს როგორ მოსცებენ «ტაძარსა წმიდასა?» იგინი თავის ამყოლ-დამქაშებს უფრო გაუტეხენ სახელსა მხოლოდ და სხვას არაკის. «ბიტომ, ვინსაც სწამს ჭაშმარიტება, ვინც სამართალს წინაშე მუხლს იდრეკს და სიკრუეს გუნდრეკს არ უკმეეს, მავალეა ყველა ეკლიდოს მარდ-ბეგთა შეენიერების ტაძრიდგან ეიუოს შოლტთა ანანგენსა, ვინაიდგან «სახალი სადოგეკა სიმართლისა ქკაბ ეკანსა ჭქმნა». ქ.-ცხოვრების (1 ნაწ.) 103—105 გვ. მოთხრობილია პეტრე ქართველის (412—488 წ.) ცხოვრება. აქ ეკითხულთან: „.... რამეთუ იყო (პეტრე) დიდი და წმ ა ნანაკუ ღვთის და აქმნა ჩვენებათა და ბრძანებათა ქრისტესთა ეპისკოპოზს მოჭამისა, რამეთუ ორკეან შემდეგეულ იყო ქებად მისსა, ანუ კოკოდი ეპტრანარქა რომისა, რომელ ადეწერა ქებ მისი ეოგნსა შინა თვისსა»...

გრიგოლი I სახელოვანი რომის პაპა იყო და სცხოვრებდა 540—604 წლებს შორის და 14 წ. ვანაგებდა რომის ეკლესიასა. მრავალ თხზულებათა შორის [1]) გრიგოლმა დასწერა მშვენიერი ოგნი (ოთხთავად), რომელსაც ქართულად «დიდოდიდონი» ეწოდება. ეს თხზულება წარმოადგენს თვით პაპა გრიგოლის და ვინმე ჭეტრე დიაკონის შორის ლაპარაკსა, კითხვა მიგებით, სხვა და სხვა სულიერმეტყველო ღოლმატიურ საგნებზე. ეი აქ მოხსენებულია ჭეტრე ქართველი, თანამედროვე და თანაშრომელი პაპა გრიგოლისა, ე. ი. სცხოვრებდა 590—604 წლებში. ამიტომ ქართლის ცხოვრების თქმა შესახებ გრიგოლის მიერ პეტრე ივერის (მიუმელის) ქებისა ცხადი შეცდომაა, რადგან პეტრე ივერი, მაიუმის ეპისკოპოზი 412 წ. დაიბადა და მოიცალა 488 წ. დეკემბრის 2, პარასკევ დღეს, მაშასადამე პაპა გრიგოლის თანამშრახველი პეტრე ქართველი სხვა პეტრეა: 412—488 წლებსა ჭ 590—604 წ. შორის დიდი მანძილია. 1896 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ბ. მარრმა პალესტინის კრებულის XVI ტომის მეორე წიგნში დაბეჭდა ჭეტრე ივერის (მაიუმელის) ცხოვრების ქართული ტექსტი, რუსული თარგმანით, და წინ წაუმძღვარა ვრცელი წინასიტყვაობა, სადაც ეხება ქ.-ცხოვრების თქმულებას და თავისებურად ხელზედ იხვევს: «ჭეტრე ივერის სახელი დასაგალეთისკენ (რომში) ცხობილი არ იყოფა. მხოლოდ ქართულს ტაძანებში ორჯელ იმეორება (103 და 105 გვ.), რომ «გრიგოლ დიადოდოსმა, რომის ეპპაპ თავის წიგნში უძღვნა სიტყვა ქებისა ნეტარსა ჭეტ-

[1]) მისი სრული ზრომანი პირველად პარიზში დაიბეჭდა 1705 წ.

— ეგ სულ ადვილია, თუ გამიგონებთ,—ვუპასუხე კარძალვად მოხუცებულსა.

— როგორ?! მიამბე. დაგიგდებ ყურსა.

— თუ ამ ზავს და ბნელს ჭეტკმა მოიხდით და უკუაგდებთ, ჩაკეტილ კარს გაიღებთ, ნათელს შეუშვებთ, მაშინ დამტკიცება ჩემგან საჭიროც არ იქმნება. ეს თვით დაგარწმუნებს, რომ სინბნელეს სინათლე სჯობნის!

— მერე? სადღაა ეს სინათლე, საიდგან ჩნდება?

— ჩვენში ყოველ დღე სინათლე გვაქვს

—ღამე კი—ბნელი, მაგრამ მაგიერ დღის ზრომით დაქანცულებს გვეკვირვება ღამით მოსვენება, ამიტომაც, სულ ერთია, ღამე მაინც არ ვმოქმედობთ, რომ შეცდომით, უგზო-უკელოდ ხრამს არ წავეშვედეთ.

— მერე რა? ამით რა გინდა დაიკვეხო? შეიძლება, თავის დროზედ აქაც გათენდეს და ჩვენც ვეღირსოთ მაგ ნეტარ დროსა?!

— ძლიერ ვეკვეობ, რადგან ჯერ არსად არ ვხედავ ამის ნიშნებსა.

— როგორ? რა ნიშნებია მისი წინა მორბედი?

— ერთი ისა, რომ აქ მამლების ხმა ჯერ არ მსმენია. ჩვენში კი მამლის ყიელი განთიადის ნიშანია. ჯერ აქა-იქ, თითო ორ-ორი იწყებს ყიელსა, შემდეგ-კი, როცა სინათლე უფრსკრულ წყდიადის კარებს მოადგება და თავის ბრწინვალე თკალებს შავ წყვდიადში შემოაპყეტს, მაშინ მამლები თავის ყიელის მოუზმირებენ და მძინარე ხალხს მსწრაფელ ადვიძებენ.

აქ კიდევ გაწყრა მოხუცებული და ბრისხანე ხმით შემომიყვირა:

— სტყუი, ბალღო! ეგ სიტყვები არც ერთი არ მწამს, მამლის ყიელი ჩემს ქვეყანას ვერ გაიგიძებს, რადგან არაკვისა აქვს უფლება მამალი იყოლიოს. საცა კი გავიგონებ ის ხმას და ადგილიდგ ეიელსა, მაშინვე თავს წაეწყვეტ.

აქ კი არ მომითბინა გულმა და გაბედვით უთხარი: ბატონო, ქათმის ჯიშმა ძრიელ იცის გამრავლება, შეუძლებელია მათ გაწყვეტა. მხოლოდ ამის გთხოვთ, ჭ არ დაიგიწყოთ: როცა მამლები უხმრებენ ყიელის, ეს განთიადის ნიშანია.

ამის თქმა კი მოვასწარი და მოხუცებულმა ბრისხანედ თვალი გადმომიბრიალა, მძლავრი ხელი თმაში უნდა წაეკლო და იატაკზე დაეგნარცხებინე, მაგრამ უცებ შეკერთი, შეკინძერ, რაც ძალი და ღონე მქონდა და ღრმა ძილს ასე უცბად დავაღწიე თავი.

«ეუ! მაღლოსა ღმერთს, რომ სიზმარი იყო და არა ცხადი. მოკვედი, ვეწამე კაცი»,—ვსთქვი ჩემთვეს და დაღლილ-დაქანცული ლოგინიდგან ზეზე წამოვარდი...

თეოფილე ხუსკოვაძე.

Digitized by National Parliamentary Library of Georgia

[1]) На западѣ имя Петра Ивера, повидимому, не было извѣстно. Только въ *Грузинскихъ лѣтописяхъ* повторяется дважды (груз. текстъ, ч. I, стр. 103 и 105), что «Григорій Діалогъ, патріархъ римскій, написалъ въ своей книгѣ похвальное слово блаженному Петру». Броссе замѣчаетъ (ч. I, стр. 139, прим. [1]), что онъ не могъ найти этого похвальнаго слова, написаннаго *„Григоріемъ Теологомъ“*: Но тутъ, пожалуй, недоразумѣніе, а прежде всего со стороны тѣхъ, которые внесли *житіе Петра* въ *Грузинскія лѣтописи*. Дѣло въ томъ, что Григорій Великій дѣйствительно пишетъ въ своей книгѣ Dialagorum (Migne patr., s. lat. т. 77, стр. 381—382) нѣсколько сочувственныхъ словъ о св. монахѣ Петрѣ Иверѣ, подвизавшемся *въ Евазѣ*, и со словъ одного иллирійскаго монаха, упоминаетъ о видѣніи, въ которомъ Петръ видѣлъ адъ. Но этотъ Петръ Иверъ предполагается (?), происходитъ изъ Иверіи –Испаніи, а не Грузіи, и у насъ нѣтъ особыхъ основаній, чтобы настаивать на ошибочности этого предположенія. (*примѣч.*) Діалоги Григорія, быть можетъ слѣдуетъ подразумѣвать подъ книгою діалоговъ, значащеюся въ числѣ переводовъ съ греческаго Евфимія Святогорца. Отожествленіе Петра Испанца съ Петромъ Грузиномъ можетъ исходить отъ грузинскаго переводчика Діалоговъ». нв. ць. Пэтрэ ивэрнэс, гамэцемдеси ნ. მარრისა, IV—V გვ.

[1]) На западѣ имя Петра Ивера, повидимому, не было извѣстно. Только въ *Грузинскихъ лѣтописяхъ* повторяется дважды (груз. текстъ, ч. I, стр. 103 и 105), что «Григорій Діалогъ, патріархъ римскій, написалъ въ своей книгѣ похвальное слово блаженному Петру». Броссе замѣчаетъ (ч. I, стр. 139, прим. [1]), что онъ не могъ найти этого похвальнаго слова, написаннаго *„Григоріемъ Теологомъ“*: Но тутъ, пожалуй, недоразумѣніе, а прежде всего со стороны тѣхъ, которые внесли *житіе Петра* въ *Грузинскія лѣтописи*. Дѣло въ томъ, что Григорій Великій дѣйствительно пишетъ въ своей книгѣ Dialagorum (Migne patr., s. lat. т. 77, стр. 381—382) нѣсколько сочувственныхъ словъ о св. монахѣ Петрѣ Иверѣ, подвизавшемся *въ Евазѣ*, и со словъ одного иллирійскаго монаха, упоминаетъ о видѣніи, въ которомъ Петръ видѣлъ адъ. Но этотъ Петръ Иверъ предполагается (?), происходитъ изъ Иверіи –Испаніи, а не Грузіи, и у насъ нѣтъ особыхъ основаній, чтобы настаивать на ошибочности этого предположенія. (*примѣч.*) Діалоги Григорія, быть можетъ слѣдуетъ подразумѣвать подъ книгою діалоговъ, значащеюся въ числѣ переводовъ съ греческаго Евфимія Святогорца. Отожествленіе Петра Испанца съ Петромъ Грузиномъ можетъ исходить отъ грузинскаго переводчика Діалоговъ». нв. ць. Пэтрэ ивэрнэс, гамэцемдеси ნ. მარრისა, IV—V გვ.

ლიის ერთ-ერთ მონასტერში, განმარტოებით უცხოვრია და ჩვეულებათა ჰქონია წელიწადში ერთხელ მახლობელ მონასტერთა მმამხილეა—მოლოცვა, როგორც ღღედგე ქართველი ბერები მოგზაურობენ; გ) პეტრე ბერი ქართველი დაჰმეგობრებია თავისებრ მოდეაწე ბერს ეკვესეს. 3).

მეცნიერი პროფესსორი რომ პატარა გარჯილიყო და ქართული ხელნაწერები (დიალოგები) გადაეთვალიერებინა, რასაკვირველია, პეტრე ქართველს პეტრე ისპანელ-იბერად არ აღიარებდა, არც მოღვაწის ეკვესის სახელს მონასტერს არ უწოდებდა. მაგრამ, თქვენგან არ მიკვირს! მეცნერმა მეცნიერული წყარო მონახა — სახელოვანი გამოცემა Migne-სი, და ჩახო მიხო ხელნაწერები (ქართული) რა საკადრისი და იყო? ადვა, მეცნერულად ბრძანა—«...этотъ Петръ Иверъ, предполагается, происходитъ изъ Иверіи—Испаніи, а не Грузіи, и у насъ нѣтъ особыхъ основаній, чтобы настаивать на ошибочности этого предположенія. Отожествленіе Петра Испанца съ Петромъ Грузиномъ можетъ исходить отъ грузинскаго переводчича діалоговъ.» 3).

თუ რომ ჭეტრე ივერი, მაიუმის ეპისკოპოზი (V საუკ.) ისპანელი არ არის, დიალოგნში მოხსენებული ჭეტრე ქართველი (VI საუკ.) რადათ უნდა იყვეს ივერი-ისპანელი? საიდგან სადაო, წმიდაო სბბაო? განა სბბას ლავრის ბერ მთაზოანნი VI საუკუნეში ორი წილი ქართველები არ იყენენ? მაგრამ, კმარა ბატონებო! მეცნიერს პროფესსორს, ეტყობა, დიდათ ეზოთირება იტალიაში ჭეტრე ბერის ქართველის მოღვაწეობა VI საუკუნეში და ამა ვინ დაუშლის თავის წინაპარი მეცნიერივით ქ-რიკის ცხოვრება და სხ. ქართული ძველი ისტორიული, თუ სასულიერო მწერლობა ამუნად აიგდოს და სომხის ბერის შედგენილი ზღაპრები უწოდოს საქვეყნოთ! ესრეთი მეცნიერული მალაყები არ ახალია, ძველია.

აქ პირდაპირ უნდა ითქვას ერთხელ და სამუდამოდ: ძველ ქართულ მწერლობას რაც კი შეეხება, მეცნერი პროფესორი ამცირებს მის მნიშვნელობას, დაბლა აყენებს, სამაგიეროდ, სომხურ მწერლობას კი მაღლა აყენებს, ქართულს სომხურს უმორჩილებს.

აქაც სომხურმა ანგარიშმა გასპრა და სამეცნიერო წმიდა ტაძარში ამისთანა თაღლითობამ დიდი ხანია თავი იჩინა.

«დ. ბ. კარბელაშ. დი.

თეატრი და ხელოვნება

—

ბიათუარა. 5 ივნისს აქაურ სათეატრო დარბაზში, ტფილისის ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა, ბ ნ. ვალ. გუნიას გამგეობით, გამართეს წარმოდგენა, როგორც ადგილებში იყო გამოცხადებული, უნდა ეთამაშნათ კომ. «ბაცარუბული იმედები» ანანისა და «სიძე-სიმამრი» ვ. გუნიასი. მაგრამ, როგორც გამოაცხადეს, ვითომ და იმ მიზეზის გამო, რომ ვ. ანანშიე ავად გამხდარიყოს და ტფილისში ბერა წარმებულიყოს, «ბაცარუბული იმედები» მაგიერ ითამაშეს ვოდეეული «დედის ერთა»; დანამდვილებით კი გავიგეთ, რომ ეს ასე არ ყოფილა. ვ. ანანშიე ავად კი არ გამხდარა, არამედ, რაღაც მიზეზის გამო, გული მოსვლია, შეფხუკიანებულა, თავისი სათამაშო როლიც მიუტოვებია, რაც ამ პიესისთვის საჭირო ტანისამოსი იყო, ისიც წაუღია ჯა წასული იმ დღეს, რა დღესაც წარმოდგენა იყო დანიშნული. ამ რიგად, დასტოვა ამდენი საზოგადოება პირში ჩალა-გამოვლებული. ბევრი უკანვე დაბრუნდა, რომ გიგეს პიესის გამოცვლა, და ბევრიც საყვედურს უცხადებდა: «ნეტა ვიცოდეთ, რათ დასჩემდათ არტისტებს ეს სენი, რომ აფიშაში გვიცხადებენ, ესა და ეს პიესა იქნება წარმოდგენილი, ჩვენც ამ პიესისთვის მოვდივართ, აიხდება ფარდა და სულ სხვას ვხედავ - თო?! ეს საზოგადოების არაფრად ჩაგდებას ჰნიშნავსო».

რაც შეეხება წარმოდგენას, უნდა

[1]) იხ. მუზემის ხელნაწერნი: № 137, ფურ. ცელი; № 167, 320 გვ. და № 237, 272 გვ.

[2]) ბ. მარრის სიტყვით კი ეკვესის მონასტერში უცხოვრია პეტრეს. იხ. ზევით. 3) იხ. ჟურ. Петра Ивера, V გვ.

სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ასეთის ანსაბლით წელს აქ არც ერთი პიესა არ უთამაშნიათ. საზოგადოთ «სიძე-სიმამრმა» ყველანი კარგად ასრულებდნენ თავ-თავიანთ როლს. ხოლო განსაკუთრებით შეუდარებელი იყო გუნია (ექიმი საყვარელაძე). «დედის ერთამაც» რიგიანათ ჩაიარა.

ამ წარმოდგენას საზოგადოება იმდენი არ დასწრებია, რამდენიც მოსალოდნელი იყო. მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ბილეთები ერთთან ძვირი იყო (უკანასკნელი ფასიანი ბილეთი ღირდა 40 კ.

მეორე დღეს, 6 ივნისს, იმათვე გამართეს იაფ-ფასიანი წარმოდგენა. ითამაშეს «ძალა აღმართსა ჰხნავს» ვ. გუნიასი. საერთოდ ამ პიესამაც კარგად ჩაიარა. საზოგადოებაც ბევრი დაესწრო, მეტადრე მდაბიო ხალხი. სასიამოვნოა, რომ ამ ბოლოს დროს, კარტ-ნარდის მოტრფიალეთაც დაუზარეს თეატრში სიარული. თუ წინად საჩაიები სავსე იყო ხალხით წარმოდგენის დროს, ახლა ხუთსაც ვერ ჰნახავდით იქა.

დავ. გუნელ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან)

9 ივნისი.

პეტერბურგი. დეპეშა ვიცე-ადმირალ სკრიდლოვისა მისს უდიდებულესობის სახელთაზე 8 ივნისის თარიღით: „უქვეშევდომიერესად მოვახსენებ თ ... უდიდებულესობას, რომ დღეს, ივნისს, ვლადივოსტოკს დაბრუნდა ექსპედიციიდან იაპონიის ნაპირებისაკენ გაგზავნილი ნაღმოსნები, რომელიც მე 2 ივნისს გავგზავნე დიდის მთავრის გენერალ-ადმირალის ადიუტანტის 2-ე რანგის კაპიტანის ვინოგრადსკის უფროსობითა. ნაღმოსნები მისულან თვით ნავსადგურს იეზჩინთან, რომელიც მდებარეს კუნძულ ხოკაიდოზე, მაგრამ ნავსადგურში შესვლა ნისლს დაუშლია. ნაღმოსნებს დაუტრიათ და დაუღუპნიათ რამდენიმე სამრეწველო და გადასაზიდ-გადმოსაზიდი ნავები, ერთი იმათგანი ნავსადგურშიც მოიყვანეს. საბუთების ქაღალდებისა და ბაღრის გასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნავების მომტეხებულ ნაწილს მიჰქონებიათ თევზი და ბრინჯი ნავსადგურ სასებოსა ჭ სიმონოსეკსა.

ბლაგოვეშჩენსკი. ნამესტნიკის განკარგულების ძალით, ხაბაროვსკში გაიმართა პრიამურის მხარის ცენტრალური სასურსათო კომიტეტი, ხოლო ბლაგოვეშჩენსკში საოლქო კომიტეტი ამურის ოლქისათვის. შესდგა აგრეთვე ზეიკის ნავსადგურთან კომისია, რომ მოიყვანონ ცნობაში სურსათის საქმე და გაიწესიერონ სურსათის და საქონლის მოტანა. საზოგადო საჭიროება სხვა და სხვა საქონლისა უფრის 650 ათასს ეუთსა. სამხედრო გუბერნატორმა შუამავლობა აღძრა, სურსათი რკინის გზით სრეტენსკს მოხდონ. საჭიროებისადგვარად საქონელი კათეგორიებად არის დაყოფილი; პირველს ეკუთვნის—შაქარი, ნავთი, სანთელი, საპონი, ბარილი, ერბო, საბაელო საქონელი, საკოლონიო ჭ აფთეკანა, მეორეს—სპიკა, ფეხსაცმელი, ტყავისა, მაუდისა და შალის საქონელი, ბეწვეულობა, რკინა, თუჯი, ქაღალდი, საკანცელარიო ნივთები, ზეთეულობა და ტომრები; მესამეს—მანუფაქტურა და გალანტერეინის საქონელი და მეოთხეს—სპპრისფარეშო, მუსიკალური და დაბეჭდილი თხზულებანი, თამბაქო, სამეურნეო იარაღი და ჭურჭეულობა. პირველი ორი ხარისხის საქონელი საჭიროა მიიტანონ ბლაგოვეშჩენსკს, ამურზე ვაპრობის შეწყვეტამდ.

ვლადივასტოკი. პოლკოვ. სკლიაროვის ცოლი არ მოუკლავ ქსაბურს, მხოლოდ ცულის ყუით დაუჭრია. სკლიაროვისა მოკლონბილდა.

ბიისკი. ნამდვილი წყაროებიდან გამოიარკვა, რომ ალტაიაზე მოძრაობას პოლიტიკური ხასიათი არა აქვს.

ნიუ-იორკი. უფროსმა კონსულმა ლადიენსკიმ გადასცა ნიუ-იორკის ბირჟას ძვირფასი სარკეარი ხელმწიფე იმპერატორისა—შვენიერი ბრინჯაოს ვაზა, და გაანაცხადა, ელჩს იმედი აქვს, რომ საეკერო, სამრეწველო და საფინანსო დამოკიდებულებანი ორ მეგობარ ერს შორის დიდი სარფაა როგორც რუსეთისათვის, აგრეთვე ამერიკისათვის. ბირჟის პრეზიდენტმა განაცხადა, შეერთებულ შტატებს დავიწყებული არა აქვს, რომ ორივე ერ-

— ეგ სულ ადვილია, თუ გამიგონებთ,—ვუპასუხე კარძალვად მოხუცებულსა.

— როგორ?! მიამბე. დაგიგდებ ყურსა.

— თუ ამ ზავს და ბნელს ჭეტკმა მოიხდით და უკუაგდებთ, ჩაკეტილ კარს გაიღებთ, ნათელს შეუშვებთ, მაშინ დამტკიცება ჩემგან საჭიროც არ იქმნება. ეს თვით დაგარწმუნებს, რომ სინბნელეს სინათლე სჯობნის!

— მერე? სადღაა ეს სინათლე, საიდგან ჩნდება?

— ჩვენში ყოველ დღე სინათლე გვაქვს

—ღამე კი—ბნელი, მაგრამ მაგიერ დღის ზრომით დაქანცულებს გვეკვირვება ღამით მოსვენება, ამიტომაც, სულ ერთია, ღამე მაინც არ ვმოქმედობთ, რომ შეცდომით, უგზო-უკელოდ ხრამს არ წავეშვედეთ.

— მერე რა? ამით რა გინდა დაიკვეხო? შეიძლება, თავის დროზედ აქაც გათენდეს და ჩვენც ვეღირსოთ მაგ ნეტარ დროსა?!

— ძლიერ ვეკვეობ, რადგან ჯერ არსად არ ვხედავ ამის ნიშნებსა.

— როგორ? რა ნიშნებია მისი წინა მორბედი?

— ერთი ისა, რომ აქ მამლების ხმა ჯერ არ მსმენია. ჩვენში კი მამლის ყიელი განთიადის ნიშანია. ჯერ აქა-იქ, თითო ორ-ორი იწყებს ყიელსა, შემდეგ-კი, როცა სინათლე უფრსკრულ წყდიადის კარებს მოადგება და თავის ბრწინვალე თკალებს შავ წყვდიადში შემოაპყეტს,

Digitized by National Parliamentary Library of Georgia

დიდის ხნიდან მეგობრულის კავშირით არიან შეერთებულნი. ხელმწიფე იმპერატორის საჩუქარი სახსოვრად დარჩება იმ მადლობისა, რომელიც შეერთებულს შტატებს ვალად აქვს რუსეთისადმი იმის კეთილის სურვილებისა და ზრდილობისაგამო, რომელიც აღმოუჩინა მაშინ, როდესაც იგინი ერთთან სასურველნი იყვნენ.

10 ივნისი.

სოფია. („ეკრ. ბიურო“). აქაურნი პოლიტიკოსნი მთავარ ფერდინანდის სერბიის მეფესთან ეხლანდელს შეხვედრას უფრო დიდ მნიშვნელობას აძლევენ, ვიდრე წინად ჰფიქრობდნენ.

სალონიკი. („ეკრ. ბიურო“). რუსეთისა, ინგლისისა და საფრანგეთის ელჩები ბეჯითად თხოულობენ პორტასგან, რა მდგომარეობაშია მუშის სანჯაყში საქმეები. პორტა დათანხმდა, სომეხ ლტოლვილთ ამნისტიას (პატიებას) მივანიჭებთ და შემოეთმასაც აღმოვუჩენთო, მაგრამ კონსულები ამ შემწეობას ეოტაობენ. პორტა ამტკიცებს, რომ მუშის სანჯაყში აღდგენილია სრული მშვიდობიანობა; ზოგიერთ ცნობებს კონსულებიც ამოწმებენ, ხოლო ამასთანავე იუწყებიან, რომ სომეხთა სოფლებში ჯერ კიდევ განაგრძობენ კაცთა კვლასა და ძარცვა-გლეჯასაო.

ტენდლრაფვის მაიაკი. 2 ივნისს რედზედ მოვიდა სავარჯიშო ესკადრა.

სალონიკი. (ეოლფის საგ.). ქემილ-ფაშა გადასახლებულ იქმნა ბრუსში და საგანგებო გემით წაიყვანეს.

ტაეერი. ერთთა აქაურმა საფრანგეთის ფირმამ სულთანს სესხის დაგვარად მისცა 70,000 დოლარი, რათა გამოისყიდოს ავაზაკების მიერ დატყვევებულნი რაისკულ პერდიკორისი და ბარლეი; 9 ივნისს მოელოდნენ ტყვეების განთავისუფლებას. სესხი საბოლოოდ მოაგვარეს საფრანგეთის ბანკისა და «Banque de Paris et de Pays Bas»-ის დახმარებით.

ვენა. იმპერატორმა უბოძა ოსმალეთის საგანგებო ელჩს მარშალ ზაქირ ფაშას ლეოპოლდის დიდის ჯვრის ორდენი.

ბერლინი. ივლისის და აგვისტოს განმავლობაში სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში გაგზავნილ იქმნებიან მაშველ ჯარად 1,600 კაცი.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

გამოსაცემი ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა

8 ივნისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,00
ბერლინში 100 მარკაში	45,96
პარიეში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	95,55
ბერლინში „	46,30
პარიეში „	37,50
ბირეის დისკონტი.	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა	91½ ნის. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამული ბანკისა	87 მშვ.
5% პირ. შინაგ. მომგ.-ბილ. 1864 წ.	373 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. აესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	291 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა	255½ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცელ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	88½ ნის. გაყ.
5% ქუთ. საადგ. მამ. ბანკის გირ. ფურცელ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

განცხადებანი

საცხენისის პირველ-დაწყებით სასწავლებელში (სოფელ ყვარელშია) არის 45 თავისუფალი სახელმწიფო ვაკანსია ამიერ კავკასიის თავად-აზნაურთა და სხვა საპატიო წოდებათა შვილებისათვის. მიიღებენ ბავშვებს 8—10 წლისას.

მსურველთ თხოვნები უნდა მიართვან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს; თხოვნასთან ერთად უნდა წარადგინონ იგრეთვე დაბადებისა, ჩამომავლობისა, სიღარიბისა და ექიმის მოწმობანი.

(3—6—3).

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის ბრანც ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი კაბინეტით. გადამდებანი სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.
ავადა დღე-დამეში ჰამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.



ამერიკის
ავტომობილები
ბენზინით მოძრავი
ველოსიპედები
ბენზინის მატორებით.
АКЦІОНЕРНОЕ ОБЩЕСТВО „ЭНФИЛЬДЪ“
МОСКВА, РОЖДЕСТВЕНКА № 9.
СПБ. Морская, № 30.
(10—6—10).



როიალები პიანინო

ფის-კარმონები, სკრაბკები, კიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარდის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.
პრეისკურანტები
მეტად იაფნებენ.
კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.
ბ. მ. მირიმანიანისა.
МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
Б. М. МИРИМАНЯНЪ
Тифлисъ, Дворцовая ул.
(25—6—2).

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მ ღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში
НАРОДНАЯ МЕДИЦИНА
въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა,
ფასი 70 კაპ.
(2—141—2).

მოსითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევის
ეს წამალი სრულიად აკრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ბორკლძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.
იყიდება ტფილისში —საფოთაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან

—

თანახმად უმაღლესად დამტკიცებულ 25 მაისს 1895 წელს ხელმწიფო საბჭოს აზრისა ძალით იმის შესახებ, რომ დაუბრუნდეს ტფილისის სათავადო-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელად მოფფი თავიანთი შეტანილი ფული ამ ბანკის დასაარსებლად და ფინანსთა მინისტრის მიერ 8 მაისს, 1900 წელს დამტკიცებულ წესთა მე-7 მუხლის ძალით, ამით ცნობდებ სეფოფლოდ, რომ ის, ვის ხელშიც გადაეცა „შეკრების წარწერით თ-ად ნიკოლოს შერვაშიძის-ძის დ. თინათინ ივანეს ასულის აზნაურთა მიერ ხელმოწერილ ბანკის დასაარსებლად შეტანილის ფულის კვიტანცია ოთხას ოთხმოცდა რვა მანეთისა და 75 კაპ. (488 მ. 75 კ), მოვალეა წარმოუდგინოს იგი ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლს ექვსის თვის განმავლობაში დღიდგან ამ განცხადების დებეჭდისა. თუ ასე არ მოიქცა, ხანდაზმულ დაეკარგება უფლება იმ ფულის მიღებისა და იგი ფული დაუბრუნდებათ ზემოხსენებულთ-ად აბაზთა.

3—6—3

ვისაც კი გსურთ იაკილოთ გაქურდვადა და მშვიდებული იყვეთ **იყიდეთით,** მარტო 4 მან. 90 კაპ., საიუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი **„ენდოლიანსი“**, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.
შეგიძლიანთ დაკაკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებითი. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. **„ენდოლიანსი“** აძინებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაზამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხვედა კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი **„ენდოლიანსი“**, გარედგან შეუშინველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრეთვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.
„ენდოლიანსი“ საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.
ფასი გაგზავნა: ნიკელ გადაკრული აპარატი ჭიერს 4 მან. 90 კაპ.. შეეერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დადებით 10 კაპეიკით მეტი ჭიერს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გიიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოსტის მარკებით.
მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.
განსაკუთრებითი ნაფარამოება.
(5—6—)

საუკეთესო საავარაკო ადგილები
ზედ სურამის მახლოებლად
მაღლობს და ტეით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ზომისა,
იაფიდება
იაფად და სელ-მისაწვდომ ფასად.
იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—6)

ახალი წიგნი
ს. ს. მელიქ-ადამოვი
ნაფიცი ვექილი
პრაქტიკული სახელმძღვანელო
სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ქალალდების შესადგენად ამიერ-კავკასიაში,
ПРАКТИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО
для составленія бумагъ по дѣламъ Гражданскаго Судопроизводства въ ЗАКАВКАЗСКОМЪ КРАѢ.
ფასი 1 მან.
ისყიდება ტფილისში: წიგნების ცენტრალურ საავაროში და ხიდიკელის და გუტენბერგის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს 10 ეგზემპლიარზედ მეტს 10 % დაეთმობათ და გასაგზავნ ფასსაც არ გადაიხდიან.

ფეხსაცმელი
ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,
მეკიდრი, კოსტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა.
აგრეთვე მსწრაფელ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.
ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ
გთხოვთ ყურადღება მიაქცეთ საფირმო ნიშანს.

ტყავის საქონელი
რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის
საავაჭრო სახლის
„ლეოპოლდ ნეიშველერ“-ის საწყობში.
ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6—1).

Дозволено цензурою Тифлисъ 10 іюня 1904 г. Тип. Е. И. Хелдзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи